



კონკურსი ქედის მუნიციპალიტეტის სკოლებისათვის მდგრადი ენერჯის წყაროებისა და ენერგოეფექტიანობის ღონისძიებების დანერგვა საჯარო სკოლებში

CENN, დემოკრატიის ინსტიტუტი და ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) *ევროკავშირის* მიერ *მხარდაჭერილი პროექტის - ქედა ლიდერისა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის* ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - *ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა სოფლის განვითარებისათვის* ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით აცხადებენ კონკურსს ქედის სკოლებისთვის ენერგოეფექტიანობის გაზრდაზე.





ფონური
ინფორმაცია და
კონტექსტი

პროექტის - **ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა სოფლის განვითარებისათვის (ADA-SFMRD)**, რომელიც ხორციელდება ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით, ძირითადი მიზანია წვლილის შეტანა სოფლად სიღარიბის აღმოფხვრასა და საქართველოს მთავრობის მიერ მდგრადი განვითარების მიზნების (SDG), ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილისა (NDC) და საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (EU-AA) ფარგლებში მდგრადი „მწვანე“ განვითარების კუთხით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. პროექტი მიმდინარეობს საქართველოს მასშტაბით, ხოლო პილოტური ღონისძიებები ჩატარდება შემდეგ რეგიონებში: სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი.

პროექტის მნიშვნელოვანი კომპონენტია მხარი დაუჭიროს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ტყის რესურსების მდგრადი გამოყენების, მათ შორის, სოფლად მდგრადი ენერგეტიკული გადაწყვეტილებების ხელშეწყობას.

პროექტის - **ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის (ქედა ლიდერი)** მიზანია ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ხელშეწყობა სოფლის განვითარების თანამონაწილეობრივი, სტრატეგიული დაგეგმვის გზით. პროექტის ამოცანაა ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალის გაძლიერება და ადგილობრივი შესაძლებლობებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენება.

პროექტის ასევე მოიაზრებს ადგილობრივი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას მხარი დაუჭიროს, რაშიც აგრეთვე მოიაზრება სოფლად მდგრადი ენერგეტიკის პრაქტიკის დანერგვა.

საგრანტო კონკურსი ცხადდება ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მდგრადი ენერჯის წყაროებისა და ენერგოეფექტიანობის ღონისძიებების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით.

ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედი საჯარო სკოლების შენობების უმეტესობა საბჭოთა პერიოდშია აშენებული და მათი შემომსაზღვრავი კედლების თერმული წინაღობებიც იმ პერიოდის ნორმებს შეესაბამება. შენობებში ენერგოეფექტიანობის ასამაღლებლად, გარდა მისი კონსტრუქციული





	<p>მახასიათებლების გაუმჯობესებისა, საჭიროა მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე თბოგენერაციის მოწყობილობებით აღჭურვა.</p> <p>საგრანტო კონკურსის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ორმოცდაცხრამეტი (59) სკოლაში გაიზრდება ენერგოეფექტიანობა წყალგამაცხელებელი კოლექტორების, ენერგოეფექტიანი ღუმელების და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების დამონტაჟების შედეგად.</p>
--	---



<p>კონკურსის პირობები</p>	<p>წინასწარ ჩატარებული საექსპერტო კვლევის მიხედვით, საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის, ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალმა საჯარმო სკოლამ უნდა მოამზადოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დანართი 1 - განსაზღვროს საჭიროებები სკოლის ენერგოეფექტიანობის გაზრდისთვის, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> ○ ენერჯის წყაროების ალტერნატიული მოდელის იდენტიფიცირება (ენერგო ეფექტიანი ღუმელები, ფოტოვოლტაიკები, ა.შ., თავისი სპეციფიკაციებით), რომელსაც საოპერაციო ხარჯები დაბალი აქვს და სათბური აირების ემისიებს ამცირებს. ○ დათბუნების საიზოლაციო მასალების გამოყენება ○ სახანძრო უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟება • დანართი 2 - ენერჯის დაზოგვის / ენერგოეფექტიანობის გაზრდისთვის სამოქმედო გეგმა მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> ○ დამონტაჟება, მართვა, მოვლა ○ საჭირო ტრენინგები
<p>საგრანტო კონკურსის არეალი</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტი, აჭარა ა/რ</p>
<p>კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • საგრანტო განაცხადის წარმომდგენის რეზიუმე (სკოლის დირექტორი/პედაგოგი) • დანართი 1 • დანართი 2
<p>დაინტერესების გამოხატვის ბოლო ვადა</p>	<p>დაინტერესებულ პირებს წინადადების გამოგზავნა შეუძლიათ 2021 წლის 10 იანვარის ჩათვლით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: grants@kedalag.ge</p> <p>გთხოვთ, წერილის სათაურში მიუთითეთ: Keda Schools Energy</p>
<p>შეფასება</p>	<p>შეფასება მოხდება საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საგრანტო კომისიის მიერ</p>

